

საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის
უწყებანი, 1998 წ., №11-12) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და
დამატებები:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12² მუხლი:

„მუხლი 12². ტურისტული მომსახურების რეკლამა

1. ტურისტული მომსახურების რეკლამის განთავსების უფლებამოსილება
გააჩნიათ მხოლოდ იმ სუბიექტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან
ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების
სახელმწიფო რეესტრში.

2. ტურისტული მომსახურების რეკლამის განთავსებისათვის შესაბამისმა
იურიდიული პირმა რეკლამის გამავრცელებელს უნდა წარუდგენოს
ტურისტული მომსახურების სუბიექტის ტურისტული და საკურორტო
საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი